ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 აგვისტოს

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზი ლომიძისათვის უფლებამოსილების შესწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" - ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

6.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

9.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ - სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა ზილ - 4502, სახელმწიფო N - DBI330- ს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

11 . სს „სილქნეტი“ - სათვის პირდაპირი განკარგვით, სარგებლობის უფლებით (იჯარა), ხუთი წლის ვადით 16 ცალი გარე განათების ბოძის კონსტრუქციის საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შსესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

12. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის N 69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: პეტრე შარიქაძე

13.,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ''ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა თურქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 01 აგვისტოს მორიგი სხდომის

ოქმი N 12

2022 წლის 01 აგვისტო

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კოსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ინგა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი,

ინგა თურქაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურისგანყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ალექსანდრე ტაბატაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" ს დირექტორი

მოწვეული პირები:

ჰამლეტი ბერაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი" -ს დირექტორი,

რევაზი შერგელაშვილი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს ,,სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი" - ს დირექტორი,

მამუკა ჭიპაშვილი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს „კულტურის და ხელოვნების ცენტრი" - დირექტორი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრის დირექტორი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“ - ს ჟურნალისტი,
მ. შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.
ს. გლუნჩაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ოპერატორი
მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზი ლომიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: შმაგი ხიჯაკაძე

3.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ - ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

5.,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

6.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

7. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

8.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

9.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

10.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ - სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა ზილ - 4502, სახელმწიფო N - DBI330- ს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

11 . სს „სილქნეტი“ - სათვის პირდაპირი განკარგვით, სარგებლობის უფლებით (იჯარა), ხუთი წლის ვადით 16 ცალი გარე განათების ბოძის კონსტრუქციის საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შსესახებ.

მომხს: ინგა ლურსმანაშვილი

12. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის

N 69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

13.,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ინგა თურქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის დასკვნა საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თამაზი ლომიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრის თამაზი ლომიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე საკრებულომ აღნიშნული განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შ. ხიჯაკაძის ანგარიში - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

პ. გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ჯანდაცვის კომისია ერთ - ერთი მოწესრიგებული კომისიაა საკრებულოში, მის საქმიანობას ვაფასებ დადებითად.

ო. გაგოშიძემ - ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილემ მომხსენებელს მიმართა კითხვით რა ღონისძიებებს ითვალისწინებს სკოლებში წყალთან დაკავშირებით

შ. ხიჯაკაძემ მომხსენებელმა განუმარტა, რომ ეს ეხება წყლის სისტემის მოწესრიგებას.

ა. ოქრომჭედლიძემ - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, აღნიშნა, რომ კომისიის საქმიანობას აფასებს დადებითად, ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულშიც თუ იქნება საკვებით დახმარება გაჭირვებულ ადამიანებზე.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ წინადადება განიხილება .

მ. ბარბაქაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ პრობლემების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში შრომის დისციპლინის თვალსაზრისით და უნდა მოგვარდეს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა პ. გოგოლაძისა და ა. ოქრომჭედლიძის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" - ს ხელმძღვანელის ალექსანდრე ტაბატაძის ანგარიში " საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" - ს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ი. პაქსაშვილმა. რომელმაც შეკითხვა დასვა მომხსენებლის მიმართ სკოლებსა და ბაღებში მხედველობის პრობლემებთან დაკავშირებით თუ იქნება სკრინინგი, გავარკვიოთ ადგილზე რამდენს ჭირდება სკრინინგი და ვიმოქმედოთ ერთობლივად.

გ. გიორგიძემ, საკრებულოს წევრმა,დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ჯანდაცვის კოლექტივს პროფესიული, კვალიფიციური საქმიანობისათვის კოვიდის პანდემიის დროს, განსაკუთრებით გამოხატა მადლიერება გ. ვეფხვაძის მიმართ და აღნიშნა, რომ იმერეთის რეგინში 12 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 6 მუნიციპალიტეტშია გახსნილი მოძრავი კაბინა, მათ შორის ხარაგაულში, რაც მისასალმებელია და დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება ადგილზე ჩავუტაროთ მოქალაქეებს ტესტირება. კიცხში ჩავატარეთ გასვლითი ღონისძიება და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ მოხდა მოქალაქეთ სამედიცინო შემოწმება, ვგეგმავთ მოლითის და ბორითის ზონაზეც მოვაწყოთ ანალოგიური აქცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დ. კიკნაძის და შმაგი ხიჯაკაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი -0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, რომელმაც დასვა შეკითხვა სოფლის პროექტებთან დაკავშირებით და ლაშის საექიმო ამბულატორიაში წყლის შეყვანასთან დაკავშირებით.

ვ. ჭიპაშვილმა განმარტა, რომ რამდენიმე სოფელში მოსახლეობის მიერ იყო დაყენებული წინადადებები ამ თუ იმ პროექტებთან დაკავშირებით, მათ შორის განსაზღვრული იყო პრიორიტეტი, ანუ დაფინანსების ოდენობის მიხედვით ამ მრავალიდან აერჩიათ უპირველესი, მოხდა ასე და საბოლოოდ შეირჩა 171 პროექტი.

კ. გოგსაძემ, რომელიც დაინტერესდა ვარძიის გზის პრობლემა როდის მოგვარდებოდა.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხ, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ბაზალეთში, ხიდარში ვფიქრობთ ერთიანი პროექტი შევისყიდოთ.

თ. ავალიშვილმა, რომელმაც იკითხა დაბაში მიმდინარე გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს თუ აკონტროლებს მერია.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ პროცესში ჩართულები არიან თუმცა სამუშაოებს ცაიბარებ კონტროლის ჯგუფი

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ აღნიშნული განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ საბიუჯეტო ცვლილება მუხლობრივად დააყენა კენჭის ყრაზე

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრისათვის 27 000 ლარის გამოიყოფის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებისათვის 20 000 ლარის გამოყოფის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ სპორტისა და ტურიზმის ცენტრისათვის 12 000 ლარის გამოყოფის თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისათვის 20 200 ლარის გამოყოფის თაობაზე,
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის 10 500 ლარის გამოყოფის თაობაზე,
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ სათნოების სახლისათვის 25 000 ლარის გამოყოფის თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი სოფელ ვახანი-ვახანისწყალის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურეობისათვის დამატები 3 000 ლარის გამოყოფის თაობაზე.
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვროს 18 892 831 ლარით
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები განისაზღვრება 22 260 442 ლარით
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კ. გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე - 29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე -27

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულო ს29 წევრი,

მომხრე - 27

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ - სთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანა ზილ - 4502, სახელმწიფო N - DBI330- ს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ი. ვეფხვაძემ, მან აღნიშნა კომისიის სხდომაზე ითქვა, რომ ეს მანქანა თითქმის 45 წელია გაჩერებულია, თანაც ქუჩების მოსარწყავად უნდა იქნეს გამოყენებული და ივლის მხოლოდ სწორ გზაზე, რა აზი აქვს ასეთ მდგომარეობაში მყოფი მანქანის გარემონტებას, ეს იქნება წყალში

გადაყრილი ფული ვხედავთ წესრიგდება დაბაში გზები დამაქვს წინადადება შევიძინოთ ახალი სარწყავი მანქანა.

ი. ლურსმანაშვილმა, მომხსენებელმა რომელიც დაეთანხმა ი. ვეფხვაძეს რომ ამ მანქანის გადაცემა ა.ა.ი.პ -ზე ხდებაქუჩების სარწყავად გამოყენების მიზნით შესაბამისი რეაბილიტაციის შემდგომ.

ბ. კვირიკაშვილმა - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე გაჟღერდა, რომ იყო ასეთი მოსაზრება თუ ვისი იყო ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს.

ვ. ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ ეს მანქანა სეკეთდება და ა.ა.ი.პ მას გამოიყენებს საამშენებლო მასალების გამდასატანად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ი. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - სს „სილქნეტი" - სათვის პირდაპირი განკარგვით, სარგებლობის უფლებით (იჯარა), ხუთი წლის ვადით 16 ცალი გარე განათების ბოძის კონსტრუქციის საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით (საჰაერო ტრასით კაბელის გატარება) გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე -27

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 1

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ" ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტისN 69.6922081001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს-29 წევრი,

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის განყოფილების ურფოსის მოვალეობის შემსრულებლის ი. თურქაძის ინფორმაცია საკითხზე - ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ''ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 იანვრის N 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**